



5118-02-1-2-202005202351



N 02-1/5118

20/05/2020

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს  
ბატონ არჩილ თალაკვაძეს

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და  
სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს  
ბატონ დიმიტრი ხუნდაძეს

### წინადადება

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტებთან დაკავშირებით

ბატონო არჩილ,  
ბატონო დიმიტრი,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს პარლამენტი განიხილავს რამდენიმე დეპუტატის მიერ ინიცირებულ საკანონმდებლო პაკეტს, რომლითაც გათვალისწინებულია ცვლილებების შეტანა „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონსა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (#07-3/450; 13.05.2020). აღნიშნული კანონპროექტი ჩვენთვის და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახდა ამა წლის 19 მაისს და როგორც ცნობილია, მისი განხილვა სამივე მოსმენით 22 მაისს დასრულდება. „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგინებ მოსაზრებებს განსახილველ კანონპროექტთან დაკავშირებით. ვინაიდან კანონპროექტის სამივე მოსმენით განსახილველად უკიდურესად მცირე დროა გათვალისწინებული, ზოგიერთ ჩვენს მოსაზრებას გათვალისწინებული ნორმის სახით, რათა უფრო მეტი შესაძლებლობა შეიქმნას ასეთ დაჩქარებულ ვადებში მათი კანონპროექტში ასახვისათვის.

განმარტებითი ბარათის მიხედვით, წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტის მიზანია დაიხვეწოს შესაბამისი საკანონმდებლო ნორმები, რათა საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგაც შესაძლებელი იყოს ეფექტიანი ღონისძიებების გატარება პანდემიისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიში ეპიდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

რასაკვირველია, სრულად ვაცნობიერებთ მოცემულ სიტუაციაში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელობას და გვესმის რომ პანდემიის დროს მნიშვნელოვანია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მოტივით გარკვეული შეზღუდვების შემოღება გახდეს საჭირო. თუმცა ძირითადი უფლებების შეზღუდვას აქვს თავისი კონსტიტუციური სტანდარტები და სამწუხაროდ აღნიშნული კანონპროექტი შეიცავს მნიშვნელოვან ხარვეზებს ამ მიმართებით. წარმოდგენილი ცვლილებები მთავრობას აძლევს უფლებამოსილებას შეზღუდოს ადამიანის უფლებები იმ სახით, რა სახითაც საგანგებო მდგომარეობის პირობებში იყო დაშვებული, რაც წინააღმდეგობრივია კონსტიტუციასთან და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან. იმისათვის, რომ კანონპროექტის ცვლილებები შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციასა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს, ქვემოთ წარმოგიდგენთ ჩვენს მოსაზრებებს პუნქტობრივად:

**1. ადამიანის უფლებებში ჩარევის კრიტერიუმები ცხადად უნდა მიეთითოს.** კანონპროექტი მთავრობასა და მის მიერ განსაზღვრულ სამინისტროს აღჭურავს განუსაზღვრელი უფლებამოსილებით. კერძოდ მოქმედი კანონმდებლობით საკარანტინო ღონისძიებების გამოყენება მიმართულია კონკრეტული ფიზიკური პირის მიმართ, რომელიც მართალია არ არის ავად, მაგრამ ჰქონდა ექსპოზიცია გადამდები დაავადების შემთხვევასთან. კანონპროექტით კი საკარანტინო ღონისძიების ცნების შინაარსი იმგვარად ფართოვდება, რომ საკარანტინო ღონისძიებებით გათვალისწინებული შეზღუდვები გავრცელდება იმ პირებზეც ვისაც არ ჰქონია უშუალო შეხება გადამდები დაავადების შემთხვევასთან. ამასთან, მთავრობა აღიჭურვება უფლებამოსილებით კანონმდებლობისაგან განსხვავებულად მოაწესრიგოს საჯარო დაწესებულებების საქმიანობასთან, პირთა მიმოსვლასთან, საკუთრებასთან, შრომასთან, პროფესიულ ან ეკონომიკურ საქმიანობასთან, უკანონო მიგრაციას/საერთაშორისო დაცვასთან, ფიზიკურ პირთა სოციალური ღონისძიებების ჩატარების მიზნით თავშეყრასთან დაკავშირებული საკითხები (მიუხედავად იმისა კონკრეტულ პირებს ჰქონდათ თუ არა ექსპოზიცია გადამდები დაავადების შემთხვევასთან).

ანუ კანონპროექტით ფართოვდება იმ პირთა წრე და იმ საკითხების ჩამონათვალი, რომლებიც უფლების შეზღუდვას შეიძლება დაექვემდებარონ. ამ საკანონმდებლო რეგულირებას არ ახლავს არანაირი ჩარჩო და ფარგლები, რომელიც დაუდგენდა საზღვრებს აღმასრულებელ ხელისუფლებას დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში. აღნიშნული რეალობის გათვალისწინებით, უკიდურესად მნიშვნელოვანია კანონით ნათლად განისაზღვროს მთავრობისათვის/სამინისტროსათვის მინიჭებული დისკრეციის ფარგლები და მიეთითოს ყველა ის კრიტერიუმი, რომლის ზედმიწევნით დაცვაც აუცილებელი იქნება ადამიანის უფლებებში ჩარევის გასამართლებლად. საწინააღმდეგო შემთხვევაში მივიღებთ არაკონსტიტუციურ რეგულირებას.

მიგვაჩნია, რომ ამ მიზნით გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს რეალობისათვის კარგად ნაცნობი საკანონმდებლო ტექნიკა და კანონს უნდა დაემატოს „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მსგავსი ნორმა, ასევე ამავე კანონის მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტში მითითებული ტერმინი. შესაბამისად, გთავაზობთ, „საზოგადოებრივი

ჯანმრთელობის შესახებ“ კანონს (მაგალითად, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის სახით ან მე-11 მუხლის მე-6 პუნქტშივე) დაემატოს შემდეგი ნორმა:

*„ამ კანონის მე-3 მუხლის “შ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვა უნდა იყოს:*

*ა) საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი მუხლით დაცული სიკეთეების მიღწევისაკენ მიმართული;*

*ბ) კანონით გათვალისწინებული;*

*გ) დემოკრატიული საზოგადოებისათვის აუცილებელი;*

*დ) არადისკრიმინაციული;*

*ე) პროპორციულად შემზღუდველი;*

*ვ) ისეთი, რომ შეზღუდვით დაცული სიკეთე აღმატებოდეს შეზღუდვით მიყენებულ ზიანს.“*

ასევე, გთავაზობთ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლში განმარტებულ ტერმინებს დაემატოს შემდეგი დეფინიცია:

*„შეზღუდვის პროპორციულობა“ არის საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი მუხლით დაცული სიკეთეების შესაბამისი შეზღუდვა, რომელიც ამ მიზნის მიღწევის ყველაზე ეფექტიანი და ყველაზე ნაკლებად შემზღუდველი საშუალებაა. უფრო მკაცრი ზომები გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი მუხლით დაცული სიკეთეების მიღწევა სხვაგვარად შეუძლებელია.“*

**2. ადამიანის უფლებებში ჩარევა უნდა იყოს დასაბუთებული.** მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობისა და მის მიერ განსაზღვრული სამინისტროს მიერ უფლებრივი საკითხების კანონმდებლობისაგან განსხვავებულად მოწესრიგების მიზნით გამოცემული თითოეული გადაწყვეტილება იყოს დასაბუთებული და შეიცავდეს მისი გამოცემის ფაქტობრივ წინაპირობებს, ასევე, მსჯელობას უფლებებში ჩარევის კრიტერიუმების არსებობის თაობაზე. დასაბუთება არ უნდა იყოს გაგებული იმგვარად, რომ შემოიფარგლოს მხოლოდ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ კანონის რამდენიმე მუხლის მშრალად მითითებით. აღნიშნულ საჭიროებას განაპირობებს მთავრობისათვის/სამინისტროსათვის გადაცემული უპრეცედენტოდ ფართო დისკრეციული უფლებამოსილება. ამ მიზნით, გთავაზობთ, კანონპროექტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ნორმა (მაგალითად, მე-11 მუხლის მე-6 პუნქტში):

*„მთავრობის ან/და მის მიერ განსაზღვრული სამინისტროს მიერ ამ კანონის მე-3 მუხლის „შ“ ქვეპუნქტისა და მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას, სადაც კანონმდებლობის ნორმებთან ერთად უნდა მიეთითოს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანის უფლებების შეზღუდვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას.“*

**3. ტერმინი - „შესაძლო ინფიცირებული პირი“ უნდა განმარტოს.** „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი გვთავაზობს „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტში ტერმინის „იზოლაცია“ ახლებულ განმარტებას. კერძოდ, კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტს ემატება ტერმინი „შესაძლო ინფიცირებული პირი...“. წარმოდგენილი ცვლილებით კანონის პროექტი არ ითვალისწინებს „შესაძლო ინფიცირებული პირის“ ცნების შეფასების ინდიკატორებს. **საჭიროა დაკონკრეტდეს რა კრიტერიუმების არსებობის შემთხვევაში მოიაზრება პირი შესაძლო ინფიცირებულის სტატუსის მქონედ.**

წინამდებარე ცვლილება არ აკმაყოფილებს კონსტიტუციით დადგენილ განსაზღვრულობის კრიტერიუმს, რადგან გამოყენებული ტერმინი ბუნდოვანია. აღნიშნული პრინციპი, მათ შორის, გულისხმობს, რომ ნორმა იმგვარად არ უნდა იყოს ფორმულირებული, რომ კანონმდებლის მიერ გადასაწყვეტი და მოსაწესრიგებელი საკითხები ფაქტობრივად გადავიდეს სხვა ორგანოების დისკრეციის სფეროში.<sup>1</sup> კანონპროექტის ამ ფორმით მიღების შემთხვევაში კი, ფაქტობრივად მივიღებთ რეალობას, როცა კანონმდებელი უარს ამბობს განმარტოს „შესაძლო ინფიცირებული პირის ცნება“, რაც ნორმის თვითნებური წაკითხვის შესაძლებლობას ქმნის. ამ ნაწილში ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „კანონი შეიძლება ჩაითვალოს განუსაზღვრელად, როცა განმარტების ყველა მეთოდი მოსინჯულია, მაგრამ მაინც გაურკვეველია მისი ნამდვილი შინაარსი, ანდა არსი გასაგებია, მაგრამ გაუგებარია მისი მოქმედების ფარგლები.“<sup>2</sup> გარდა ამისა, ნორმა არაკონსტიტუციურია, თუ „ვერ აკმაყოფილებს გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის მოთხოვნებს, იურიდიული მეთოდოლოგიით გონივრული განმარტების შედეგად, მისი წაკითხვის ერთი ვერსია ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.“<sup>3</sup> კანონპროექტში მითითებული ტერმინის და, ზოგადად, ნორმის სიტყვასიტყვითი, სისტემური და თელეოლოგიური განმარტების შემთხვევაშიც კი, გაურკვეველია რა იგულისხმება „შესაძლო ინფიცირებული პირის ცნებაში.“

მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი ამ ნაწილში ასევე ეწინააღმდეგება „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის პრინციპებს. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, თავისუფლების და უსაფრთხოების უფლების შეზღუდვისას დაცული უნდა იყოს კანონის განჭვრეტადობის პრინციპი. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულმა კანონმა ნათლად განსაზღვროს თავისუფლების შეზღუდვის პირობები და გამორიცხოს ბუნდოვანება ამ მიმართებით.<sup>4</sup>

ამ ნაწილში დამატებით აღსანიშნავია, რომ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის მოქმედი რედაქცია საკარანტინო

<sup>1</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება #2/1/415 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II თავი, პარ. 41.

<sup>2</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება #1/1/428,447,459 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II თავი, პარ. 19.

<sup>3</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/3/407 საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე- ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, მეორე თავი, პარ. 30.

<sup>4</sup> „ენჰორნი შვედეთის წინააღმდეგ“ (Enhorn v. Sweden), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილება, საჩივარი N 56529/00, პარ. 36-37.

ლონისძიებების ცნების განმარტების ნაწილში მიუთითებს, რომ ეს უკანასკნელი გულისხმობს ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც გამოიყენება იმ პირის მიმართ, რომელიც არ არის ავად, მაგრამ ჰქონდა ექსპოზიცია გადამდები დაავადების შემთხვევასთან გადამდებლობის პერიოდის განმავლობაში. მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ ჩანაწერში მითითებული მახასიათებლები შესაძლოა ექცეოდეს „შესაძლო ინფიცირებული პირის“ ცნებაში.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში წარმოდგენილი არ არის მსჯელობა იმის თაობაზე, თუ რამ განაპირობა ტერმინი „იზოლაციის“ განსხვავებული განმარტება, მითუმეტეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის სახით უკვე არსებობდა ჩანაწერი იმ პირთან მიმართებით, რომელიც, მითითებული მახასიათებლების მიხედვით, სწორედ რომ შესაძლოა ინფიცირებული პირი იყოს. აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ კანონპროექტი მიზნად ისახავს ეს ფარგლები გააფართოვოს და სახელმწიფოს აძლევს ფართო დისკრეციას, თვითნებურად განმარტოს რა შემთხვევაშია შესაძლებელი პირი წარმოადგენდეს შესაძლო ინფიცირებულ პირს.

**4. თავისუფლებაზეზღუდული პირების სამართლებრივი დაცვის გარანტიები უნდა განისაზღვროს.** უმნიშვნელოვანესია თავისუფლება შეზღუდული პირისათვის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით და საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის გარანტიების მინიჭება. კერძოდ, სამართლებრივი დაცვის გარანტიებიდან მნიშვნელოვანია, რომ თავისუფლება შეზღუდულ პირს მისთვის გასაგებ ენაზე განემარტოს შეზღუდვის საფუძველი და უფლებები, ასევე თავისუფლების შეზღუდვის შესახებ აცნობოს მის მიერ მითითებულ პირს და დაუყოვნებლივ მიუწვდებოდეს ხელი ადვოკატზე/იურიდიულ დახმარებაზე.<sup>5</sup> ამ უფლებების კანონმდებლობით გარანტირება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ უკანონო, თვითნებური თავისუფლების შეზღუდვის თავიდან ასაცილებლად, არამედ არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხითაც.<sup>6</sup>

მნიშვნელოვანია იზოლაციის და საკარანტინე ღონისძიების (რომელიც იწვევს თავისუფლების შეზღუდვას) შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა იყოს მკაფიო. გადაწყვეტილება პირის თავისუფლების შეზღუდვის თაობაზე უნდა იყოს დასაბუთებული და შესაძლებელი იყოს დროში ეფექტიანად მისი აუცილებლობის და თანაზომიერების შემოწმება. კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ მკაფიოდ არ განსაზღვრავს, როგორ უნდა მოხდეს ასეთი გადაწყვეტილების გასაჩივრება.<sup>7</sup> არც იმას უთითებს, რა ფორმით, რა ეტაპზე და რა ვადაში

<sup>5</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის თვითნებურ დაკავებაზე მომუშავე ჯგუფი, Covid-19-თან დაკავშირებულ დასკვნაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იძულებით საკარანტინო ღონისძიებას დაქვემდებარებულ პირებს უნდა შეეძლოთ უფლებათა სრული ეფექტურობით დაცვა, მათ შორის ხელი უნდა მიუწვდებოდეთ იურიდიულ დახმარებაზე. ხელმისაწვდომია <<https://bit.ly/3bPCgaS>> [ბოლოს ნანახია 20.05.2020].

<sup>6</sup> გაეროს წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის პრევენციის ქვეკომიტეტის 2020 წლის 25 მარტის რჩევა წევრ სახელმწიფოებს და პრევენციის ეროვნულ მექანიზმებს კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით, პარა: 16. დოკუმენტში მითითებულია, რომ თავისუფლება შეზღუდული პირისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის ფუნდამენტური გარანტიები როგორცაა: სამედიცინო დახმარების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობა; იურიდიული დახმარებაზე ხელმისაწვდომობა და მესამე პირთა ინფორმირება პირის თავისუფლების შეზღუდვის შესახებ. ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/2TnX5DS>> [ბოლოს ნანახია: 20.05.2020].

<sup>7</sup> მითითებულია მხოლოდ - „კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად“.

ბარდება პირს ეს გადაწყვეტილება.<sup>8</sup> შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იგულისხმება ადმინისტრაციული წესით გასაჩივრება ზემდგომ ორგანოში და შემდეგ სასამართლოში. მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია გასაჩივრება და ღონისძიების აუცილებლობის და თანაზომიერების შეფასება მაშინ დასრულდეს, როდესაც უკვე ღონისძიების მოქმედების პერიოდი გასულია.<sup>9</sup> აღნიშნული ადამიანის თავისუფლების თვითნებური შეზღუდვის პრევენციას ვერ უზრუნველყოფს. სწორედ ამიტომ კანონმდებლობით უნდა შეიქმნას მიღებული გადაწყვეტილების დროში ეფექტიანად გასაჩივრების მექანიზმი, რა დროსაც სასამართლო განიხილავს გამოყენებული ზომის აუცილებლობის და თანაზომიერების საკითხს. სასამართლომ უნდა იმსჯელოს, შეიძლება თუ არა უფრო ნაკლებად შემზღუდავი ზომის გამოყენებით იგივე მიზნის მიღწევა (მაგალითად, თვითიზოლაციის გამოყენებით). სასამართლოს მიერ დროულად მიღებულ გადაწყვეტილებას (განჩინებას) უნდა შეეძლოს გავლენა იქონიოს და აღმოფხვრას პირის მიმართ გამოყენებული დაუსაბუთებელი თავისუფლების შეზღუდვა.

**5. აუცილებელია სწრაფი სასამართლო კონტროლის უზრუნველყოფა.** საქართველოს კონსტიტუციის და მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, მთავრობის ან აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებული ნორმატიული და ინდივიდუალური აქტები შეიძლება გასაჩივრდეს როგორც საერთო სასამართლოში, ისე საკონსტიტუციო სასამართლოში. სამართალწარმოების ზოგადი წესები შეიცავენ საქმისწარმოების განგრძლივ ვადებს, რაც ბუნებრივია ართულებს მცირე ხანის სასამართლო კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას.

გამომდინარე იქიდან, რომ მთავრობას ამ კანონპროექტით ენიჭება განსაკუთრებული უფლებამოსილებები, მნიშვნელოვანია კანონმდებელმა შექმნას შესაბამისი გარანტიები მთავრობისა და სამინისტროს მიერ ადამიანის უფლებებში ჩარევის შემთხვევებზე ეფექტური მართლმსაჯულების განსახორციელებლად. ამისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კანონით განისაზღვროს მცირე ვადები სასამართლოების მიერ საქმეთა განსახილველად.

ეს მიდგომა ქართული კანონმდებლობისათვის უცხო არ არის და გამოყენებულ უნდა იქნეს წინამდებარე შემთხვევაშიც. მაგალითად, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-7 პუნქტი მიუთითებს, რომ „შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, რომელიც სამი სამუშაო დღის განმავლობაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილავს ამ გადაწყვეტილების კანონიერების საკითხს თითოეულ ინსტანციაში.“ საინტერესოა ასევე „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადება, რომელიც ადგენს, რომ „ჩასატარებელი არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და ამ ნორმების საფუძველზე ჩასატარებელი არჩევნების ან

<sup>8</sup> პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ საკარანტინე სივრცეში მოთავსებულ პირებთან ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ პირებს გადაწყვეტილება საერთოდ არ ბარდებათ.

<sup>9</sup> 2020 წლის 5 მაისს, საფრანგეთის რესპუბლიკის სენატმა დაადგინა გასაჩივრების დაჩქარებული პროცედურა, რომლის თანახმადაც, მიმართვის შემთხვევაში, თავისუფლების შეზღუდვის ღონისძიების (მათ შორის სავალდებულო თვითიზოლაცია) თანაზომიერებას და აუცილებლობას 72 საათის განმავლობაში იხილავს მოსამართლე (თავისუფლებათა შეზღუდვის მოსამართლე) და მოტივირებული განჩინებით ადასტურებს. N° 85 SÉNAT SESSION ORDINAIRE DE 2019-2020 5 mai 2020, PROJET DE LOI prorogeant l'état d'urgence sanitaire et complétant ses dispositions (procédure accélérée). ხელმისაწვდომია ფრანგულ ენაზე <<https://www.senat.fr/leg/tas19-085.html>> [ბოლოს ნანახია: 20.05.2020].

რეფერენდუმის კონსტიტუციურობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანიდან.“ ვინაიდან მთავრობის/სამინისტროს მიერ დადგენილი შეზღუდვები შესაძლოა მოქმედებდეს დროის მცირე მონაკვეთში, ეფექტიანი მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად აუცილებელია საქმის განხილვის მცირე ვადების შემოღება როგორც საერთო სასამართლოების, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის.

**6. სასამართლო სხდომების დისტანციურად გამართვამ სასამართლოზე ხელმისაწვდომობა არ უნდა შეზღუდოს.** საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლს ემატება 1<sup>1</sup> ნაწილი, რომელიც მოსამართლეს აძლევს ერთპიროვნულ უფლებამოსილებას პანდემიისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიში ეპიდემიის გავრცელების საფრთხის არსებობის შემთხვევაში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სასამართლო სხდომები გამართოს დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ამ წესით სხდომის გამართვის შემთხვევაში კი მასში მონაწილე არცერთ პირს არ ეძლევა უფლება, უარი განაცხადოს დისტანციურად სხდომის ჩატარებაზე, მასზე უშუალო დასწრების სურვილის მოტივით.

გაცნობებთ, რომ სახალხო დამცველის აპარატს დაწყებული აქვს დისტანციური სასამართლო პროცესების მონიტორინგი. ამ დროისთვის უკვე განხორციელდა 42 სასამართლო სხდომის მონიტორინგი. მონიტორინგის შუალედური შედეგები მიუთითებს, რომ დისტანციური სასამართლო სხდომების მიმდინარეობისას სამართლიანი სასამართლოს უფლების ზემოხსენებული ასპექტები ბლანკეტურად იზღუდება. კერძოდ, (1) სხდომების მიმდინარეობისას პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირებს, ცოცხალ რეჟიმში, არ ეძლევათ მათი ინტერესების დამცველ ადვოკატებთან კონფიდენციალური კომუნიკაციის/კონსულტაციის შესაძლებლობა, (2) ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირებს არ ეძლევათ ნივთიერი მტკიცებულებების უშუალოდ გამოკვლევის სრულყოფილი შესაძლებლობა, (3) იზღუდება საჯარო განხილვის უფლება და მხოლოდ შეზღუდულ პირთა წრეს ეძლევა შესაძლებლობა განხორციელოს სასამართლო სხდომების მონიტორინგი.<sup>10</sup>

კანონპროექტი მოსამართლეს ანიჭებს ერთპიროვნულ შესაძლებლობას, მხარეთა აზრის გათვალისწინების გარეშე, დაადგინოს სხდომის ონლაინ რეჟიმში გამართვა. ზოგადი დათქმა იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლო ამ დროს ხელმძღვანელობს პანდემიისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიში ეპიდემიის გავრცელების საფრთხის არსებობას, ბუნდოვანია, რადგან კონკრეტულ მოსამართლეს არ აქვს პროფესიული ცოდნა და ექსპერტიზა, თავად განსაზღვროს აღნიშნული საფრთხის მასშტაბი და ინტენსივობა, ანდა რელევანტური საპასუხო ღონისძიების ზომა. მიგვაჩნია, რომ მსგავსი უფლებით სარგებლობა მოსამართლეს უნდა შეეძლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი გამოსცემს სპეციალურ რეკომენდაციას,

---

<sup>10</sup> მათ შორის, საგულისხმოა, რომ ერთ-ერთ სასამართლოში სახალხო დამცველის რწმუნებულსაც კი ვერ მიეცა მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობა, სუსტი ინტერნეტკავშირის გამო.



რომელიც მიუთითებს აღნიშნულ საფრთხეზე.<sup>11</sup> ამ დოკუმენტით უნდა იყოს შესაძლებელი საფრთხეების შემცირება და გაზრდა კონკრეტულად სხვადასხვა რეგიონში.

ამასთან, მიგვაჩნია, რომ ყველა სახის სისხლისსამართლებრივი სხდომის მიმართ ერთნაირი, ბლანკეტური მიდგომის პირობებში უფრო ღრმავდება სამართლიანი სასამართლოს უფლების შელახვის რისკი. რიგი კატეგორიის საქმეებში, სასამართლო სხდომების გამართვა, თუნდაც ონლაინ-რეჟიმში, აუცილებელია, რადგან მათი გადადება შესაძლოა გამოუსწორებელ ზიანთან იყოს დაკავშირებული (მაგ. ოჯახში ძალადობის, აღკვეთის ღონისძიების გადაწყვეტისა და სხვა კატეგორიის საქმეებზე). თუმცა, სხვა, არაარსებითი სხდომების სავალდებულო წესით ონლაინ ჩატარებამ შეიძლება მხარეთა ინტერესები დააზიანოს. ამიტომ მნიშვნელოვანია მხოლოდ ისეთი სხდომები ჩატარდეს დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, რომელთა გადადებაც გამოუსწორებელ ზიანს გამოიწვევს. ეს საკითხი უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად მოსამართლის მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და გათვალისწინებულ იქნას დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციები.

საგულისხმოა, რომ მსგავს დიფერენციაციას ითვალისწინებს, მაგალითისთვის, გაერთიანებულ სამეფოში დადგენილი დროებითი წესრიგი. ისეთი სხდომები, რომელთა გადადებამაც შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი გამოიწვიოს, ტარდება ონლაინ-რეჟიმში, უზრუნველყოფილია სასამართლო სხდომაზე დასწრებისა და ბრალდებულის ადვოკატთან კონფიდენციალური ურთიერთობის შესაძლებლობა.<sup>12</sup> სხვა კატეგორიის საქმეებზე მხარეებს მიეცათ უფლება, ურთიერთშეთანხმებით გადადონ სასამართლო სხდომები 56 დღემდე ვადით,<sup>13</sup> ხოლო რიგი კატეგორიის საქმეებზე სხდომები ავტომატურად გადაიდო 90 დღით.<sup>14</sup> შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ანალოგიური ტესტის შემოღება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს როგორც სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულთა უფლებების დაცვას, ისე - სასამართლოს ეფექტიან ადმინისტრირებასა და საქმეთა დროულ განხილვას.

იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოს პარლამენტი გაითვალისწინებს წინამდებარე დოკუმენტში გამოთქმულ შენიშვნებს, მიღებული კანონი კი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინტერესებს მოემსახურება ადამიანის უფლებების სრული დაცვითა და პატივისცემით.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია



<sup>11</sup> საგულისხმოა, რომ სწორედ მთავრობის დროებითი აქტები გახდა სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელი ზემოხსენებული ასპექტების შეზღუდვის საფუძველი არაერთ სახელმწიფოში და მხოლოდ მთავრობის მსგავსი სპეციალური აქტის საფუძველზე გახდა სავალდებულო რიგი პროცესების სავალდებულოდ ონლაინ-რეჟიმში გამართვა. მაგ. გაერთიანებული სამეფო (იხ.: <<https://bit.ly/3dVsfKG>>), საფრანგეთი (<<https://bit.ly/2WO3YjP>>)

<sup>12</sup> < <https://bit.ly/2LLaB0g> >

<sup>13</sup> < <https://bit.ly/3dVsdm2> >

<sup>14</sup> < <https://bit.ly/2ziD2Qe> >



5- 

სახალხო დამცველი